პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერწყმეთ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 197 (11808) | ხუთშაბათი, 25 აგვისტო, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

დაე, ოლიმპიურმა ასპარეზობამ ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა ძმური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

XVII ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებისადმი

ძვირფასო მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, მსოფლიოს ძლიერი და ხალისიანი სპორტული ახალგაზრდობის წარმომადგენლებს.

ოლიმპიური ასპარეზობა საერთაშორისო სპორტული მოძრაობის კარგი ტრადიციაა. ოლიმპიური ცეცხლი ადამიანთა გულში აღაგზნებს ამხანაგობის სულისკვეთებას, მოუწოდებს მოაწყონ პატიოსანი შეჯიბრება, ხელს უწყობს მშვიდობის საქმის განმტკიცებას და ურთიერთგაგებას. ამასთან, ოლიმპიური ასპარეზობა წარმოადგენს სპორტული ოსტატობის კარგ სკოლას, ხელს უწყობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას.

სპორტი მხნეობის, სიხალისის, შრომისუნარიანობისა და დღეგრძელობის წყაროა. საზოგადოების პროგრესი ცოტათი როდია დამოკიდებული ახალი ადამიანის აღზრდაზე, რომელშიც სულიერი სიმდიდრე და მორალური სიწმინდე ჰარმონიულად იქნება შეხამებული ფიზიკურ განვითარებასთან. საბჭოთა კავშირის მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავს მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ხალხის ყოველმხრივი სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის. თავისუფალი სოციალისტური საზოგადოების პირობებში საბჭოთა ადამიანებმა უაღრესად ფართო შესაძლებლობანი მიიღეს იმისათვის, რომ ეწეოდნენ ფიზიკურ კულტურასა და სპორტს.

ჩვენს დროში, როცა კაცობრიობის მთავარი საზრუნავია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, სპორტსმენებმა ღირსეული ადგილი უნდა დაიკავონ ამ კეთილშობილური ამოცანის გადაჭრაში. სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შეხვედრები ხელს უწყობენ ხალხთა დაახლოებასა და ურთიერთგაგებას. ამრიგად, ეს შეხვედრები დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში. საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ასეთ შეხვედრებს და ყოველი ღონისძიებით უჭერს მხარს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ XVII ოლიმპიური ასპარეზობა ახალი ნაბიჯი იქნება ყველა ქვეყნის ხალხთა შორის ნდობისა და მეგობრობის განმტკიცების გზაზე.

დაე, XVII ოლიმპიურმა ასპარეზობამ ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა ძმური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას!

დაე, გაიზარდოს ხალხთა მეგობრობა და ურთიერთგაგება და ამით განმტკიცდეს მთელი მსოფლიოს მშვიდობა!

ვუსურვებ ოლიმპიური ასპარეზობის ყველა მონაწილეს საუკეთესო წარმატებებს სპორტში, აგრეთვე შრომაში, სწავლასა და პირად ცხოვრებაში.

ნ. ხრუშჩოვი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

1960 წლის 22 აგვისტო.

კომუნიზმის მშენებელთა შემოქმედებითი გენია

ტაცებულია მთელი მსოფლიო. მაგრამ ვერ მოასწრო კოსმოსურმა ხომალდმა დაშვებულიყო დედამიწაზე, რომ ბურუჟაზიულმა მჭლანელებმა მაშინვე დაიწყეს თავიანთი ბინძური საქმე. შეუდგნენ ბოროტი ჭორების შეთხზვას საბჭოთა ქვეყნის განრარავის შესახებ. დადგა დრო, აშინებენ ისინი თავიანთ მკითხველებს, როცა წყალბადის ბომბს შეუძლია დაიკავოს პლოტის ადგილი კოსმოსური ხომალდის კაბინაში. ჭკუაშეშლილის უცნაური ლოგიკის პატრონი უნდა იყო, რომ ასე შეიფასო მნიშვნელობა თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევისა, რომელიც ახალ ერას ქმნის კოსმოსის ათვისებაში.

საბჭოთა კოსმოსური ხომალდი მშვიდობისა და მეგობრობის ხომალდია. იგი არავის არ ემუქრება წყალბადის ბომბით. საბჭოთა ადამიანები მას მიცემულ ორბიტაზე იმისათვის კი არ გზავნიდნენ, რომ ჯაშუშობა გაეწიათ პლანეტის წინააღმდეგ. იგი კოსმოსურ სივრცეში ავიდა უმაგალითო მეცნიერული პროგრესის. იმ შესანიშნავ შესაძლებლობათა მაუწყებელად. რომელიც ისახება კაცობრიობის წინაშე. ყველაზე მეტად რომ არის დაინტერესებული მშვიდობითა და ხალხთა მეგობრობით.

საბჭოთა მიწა-წყალზე როდი უნდა ეძებდნენ უგუნურებს, რომლებიც სახავენ კოსმოსში სამხედრო ბაზების შექმნის გეგმებს. ისინი მოკალათებული არიან ოკეანისგაღმა, პენტაგონის ყვითელ სახლში, რომელიც ჯაშუშებისა და პროვოკატორების მთავარი თავშესაფარი გახდა. მსოფლიომ კარგად იცის, თუ როგორია პენტაგონის მესვეურთა ნამდვილი ზრახვები, რომლებიც, იაპონიის გაზეთის განცხადებით, „საშინელ მწუხარებაში ჩააგდო“ საბჭოთა კოსმოსური ხომალდის დაბრუნებამ დედამიწაზე.

იგი დაეშვა მშვიდობიან მიწაზე. მშვიდობიანი შრომის მიწაზე. ამ თავისუფალ, ბედნიერ მიწაზე შრომის შთაგონება ერთნაირად აღფრთოვანებს კოსმოსური ხომალდის შემქმნელებს და მიწის წიაღის დაუცხრომელ მზვერავებს შთამომავლობითს მეტალურგსა და ახალგაზრდა ტრაქტორისტს. სკოლის მასწავლებელსა და მწერალს. მეცნიერსა და ინჟინერს. ეს არის კომუნისტური შრომის, დიადი მიზნის. მაღალი დანიშნულების შრომის შთაგონება, რომელიც აახლოებს მომავალს. კომუნისტურმა პარტიამ მილიონობით თავისუფალი შრომელი დარაზმა ამ შემოქმედებითი შრომისათვის, რომელიც ავლენს ახალი ადამიანის ნიჭს. უნარსა და სულიერ სილამაზეს. მის მზადყოფნას შრომაში დიადი გმირობისათვის. ეს შრომა წინ უსწრებს დროს. განა დიდი ხანია, რაც მსოფლიო განაცვიფრა საბჭოთა ხალხის იმ ჩანაფიქრთა ხიდიადემ, რომლებიც უახლოეს მომავლში უნდა განხორციელდეს? ახლა უკვე ცხადია, რომ დასახული პროგრამა ამ ჯადაზე მნიშვნელოვნად ადრე შესრულდება.

ვერაფერი ვერ შეაკავებს იმ მძლავრ ენერგიას. იმ დაუშრეტელ შემოქმედების ძალებს, რომლებსაც ხალხში წარმოშობს კომუნიზმის ცხოველმყოფელი იდეები!

საბჭოთა ადამიანისათვის არა არის რა სამშობლოს წინაშე მის მოვალეობაზე უფრო წმიდა. ახალი ძალებით იწყებს იგი თავის შრომას. მოისმინა რა სასიხარულო. აღმფრთოვანებელი ამბავი კომუნიზმის მშენებლთა დიადი ტრიუმფის შესახებ. რომლებსაც იერიში მიაქვთ კოსმოსზე, იგი აკვირდება შრომაში თავისი ამხანაგების სახეებს და აგონდება პოეტის ბოლშიჩამწვდომი სიტყვები: „ძმაო, სამშობლოს მივუძღვნათ ჩვენ სულის აღმფრენანი!“.

სიახლე

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის გამდიდრება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით წარმოებს, მაგრამ საგრძნობია დანაკარგები. ამასთანავე ეგრეთწოდებული „შლამები“ და „კუდები“ აბინძურებს, აშავებს მდინარე ყვირილას. დანაკარგების თავიდან ასაცილებლად და იმისათვის, რომ ყვირილამ ანკარად იდინოს, ჭიათურაში შენდება საფლოტაციო ფაბრიკა. მაგრამ წინასწარ უნდა დადგინდეს ზოგიერთი ტექნიკური მაჩვენებლები. სწორედ ამ მიზნით ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პიროკსენიდების გამამდიდრებელ ფაბრიკაში შეიქმნა ნახევრადსაწარმოო მასშტაბის საფლოტაციო საამქრო, სადაც მომდინარეობს საცდელი სამუშაოები. საამქროში შეამოწმეს ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკის ტექნიკური სქემა, შეარჩიეს მადნის გამდიდრების რეაგენტები და სელექციური გამდიდრების პროგრესული მეთოდები.

აქ მუშაობს შავი მეტალურგიის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბრიგადა პირველი ხარისხის მარგანეცის გამოსავლიანობის გასადიდებლად. ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ე. გრისტანი და ი. ტურეცკი აწარმოებენ ცდებს მადნის გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესების გასაუმჯობესებლად, მეოთხე ხარისხის მადნის ხელახალი გამდიდრებით პირველი ხარისხის კონცენტრატის მისაღებად.

ჩვენ რესპუბლიკის დღე

რომ არ იქნეს მადნის დანაკარგები

ეს გოგონა ნუნუ გოგლიძეა. მან ამ ორიოდე წლის წინათ დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. ახლა იგი ამბროლაურის რაიონის სოფელ წესის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახეა. შარშან ნუნუმ ჰექტარზე 106 ცენტნერი ყურძენი მიიღო, წელს კი 120 ცენტნერის მიღებას აპირებს. მოსავალს კარგი პირი უჩანს...

ფოტო ხ. ონანოვისა.

პენსიონერთა კლუბი

ბაბრა. (საკ. კორ.). ამას წინათ ბაბრის კულტურის სახლში მოეწყო პენსიონერთა კლუბი, მასში გაერთიანდა 150-ზე მეტი პენსიონერი. მუშაობას შეუდგა კლუბის საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს ძველი პედაგოგი, დიდი სამამულო ომის მონაწილე პ. ტკაჩი. საბჭომ მიიღო პენსიონერთა კლუბის დებულება, შეიქმნა კულტურულ-მასობრივი და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიები.

კლუბში წაკითხული იქნება ლექციები პენსიონერებისათვის, მოეწყობა საუბრები, შეხვედრები წარმოების მოწინავე ადამიანებთან, ახალგაზრდებთან, შეიქმნება მხატვრული თვითმოქმედების წრე.

გედნიერი მოხუცებულობა

სტალინირი, 28 აგვისტო. (საქდესი). მრუნველობითა და ყურადღებით არიან გარემოსილი სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებში მოხუცებულები. საკოლმეურნეო შრომის ვეტერანები. მეოთხედ საუკუნეზე მეტს მუშაობდნენ სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სალომე ტვაევა და ბაბალე შიუკაევა.

საერთო კრების გადაწყვეტილებით თვითეულ მათგანს დაუნიშნეს პენსია 120 შრომადღე. პენსიას 140 შრომადღის რაოდენობით იღებს ამასწინანდელი ბრიგადირი ალექსი ბაციკაძე. კოლმეურნეობაში პენსიას იღებს კიდევ რამდენიმე კაცი.

არტელის გამგეობა მოხუც კოლმეურნე-პენსიონერებს ფულისა და პროდუქტების გარდა, რაც შრომადღეებზე ეკუთვნით, ერთდროულად აძლევს სხვადასხვა პროდუქტს — ხორცს, ხორბალს, ყველს, ერბო-კარაქს, ხილსა და ბოსტნეულს. აგრეთვე რძეს.

კოლმეურნეობის ხარჯზე ურემონტებენ მათ სახლებს, უსახყიდლოდ უმზადებენ ზამთრისათვის საბობოს. ახალი სახლი აუშენა კოლმეურნეობამ არტელის ყველაზე ხნიერ წევრს ზურაბ კასოევს.

კოლმეურნეთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება აიგოს სახლი არტელის მარტოხელა მოხუცი წევრებისათვის. ამ სახლში საწოლი ოთახების გარდა იქნება წითელი კუთხე ბიბლიოთეკით და სამკითხველოთი, სამზარეულო, სასადილო და აბანო. კოლმეურნეობა უზრუნველყოფს მოხუცებს ტანსაცმლით და კვებით.

სასტუმრო «კოლხიდა»

ხობი. (საკ. კორ.). დღემდე ხობს კეთილმოწყობილი სასტუმრო არ ჰქონდა. ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ტიპური პროექტით გათვალისწინებული ორსართულიანი სასტუმრო „კოლხიდა“. მის ქვედა სართულზე მოთავსდა სასადილო, საპარიკმახერო, საბანაონი და სხვ. ზედა სართულზე მოეწყო 15 საწოლი ორი ლუქსით. სასტუმრო უზრუნველყოფილია რბილი და მაგარი ინვენტარით.

გუშინ კლანტაციებში



△ **ზუგდიდი.** (საკ. კორ.). ზუგდიდელი მეჩაიეები აგვისტოში, ამინდის ცუდი პირობების მიუხედავად უფრო მეტ ჩაის კრეფენ, ვიდრე გასულ თვეებში. მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 15.970 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. მარტო ერთ დღეში მოიკრიფა 128 ტონა. შარშან ამ დროს მოკრეფილი იყო 15.196 ტონა. ჩაის კრეფის წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულეს სოფელ ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა აეუობლობამ, ახალი კახათის „პრავდის“ სახელობის, ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა. ჩაის კრეფაში თავი ისახელეს ცნობილმა ნოვატორებმა **ი. ბულისკერიამ, გ. ჩაგანავამ, დ. ჯანაშიამ, ნ. ქანთარიამ, ე. კიკალიშვილმა, ა. ფარცვანიამ.** ისინი დიდი ხანია ვალდებულების ანგარიშში მუშაობენ და ყოველდღიურად 50-60 კილოგრამ ჩაის მწვანე ხარისხოვან ფოთოლს კრეფენ.

△ **ბალი.** გეგმით გათვალისწინებული 11.610 ტონის ნაცვლად მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 11.646 ტონა ჩაის ნედლეული. ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში მოკრეფილია 36 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

სოფელ ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ციალა ყოლბაიამ** უკვე გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება. 7 ტონის ნაცვლად მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაუბარა 7,5 ტონა „მწვანე ოქრო“. გუშინ მან 53 კილოგრამი ჩაი მისცა სამშობლოს. **თალიკო გეთიამ** სოფელ მუხურის კოლმეურნეობაში ამავე დღეს 72 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა და კრეფის დღიური ნორმა ოთხმაგად შეასრულა. ამავე კოლმეურნეობაში **ზოია ბულისკერიამ** მოკრიფა 67 კილოგრამი. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ტატიანა გოგოხიამ** თხუთმეტი კილოგრამის ნაცვლად გუშინ 57 კილოგრამი მოკრიფა.

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები

კასპი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეობათაშორისო საბჭომ სოფელ ახალქალაქის მახლობლად აიგო და საექსპლოატაციოდ გადასცა გაჯის საწარმო. მბრუნავი ღუმელის აგებასა და სხვა სამონტაჟო სამუშაოებში კოლმეურნე მშენებლებს დიდი დახმარება გაუწია კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა. დღე-ღამეში საწარმო 50 ტონაძდე გაჯს უშვებს. გაჯი მაღალხარისხოვანია. უფრო ადრე საექსპლოატაციოდ გადაეცა კირის ქარხანა, რომელსაც უკვე გამოუშვია ასობით ტონა კირი. მალე დაიწყება აგურისა და კრამიტის ქარხნის მშენებლობა.

აგიტმხატვრული ბრიგადა საზაფხულო საძოვრებზე

მაიაკოვსკის რაიონში მთა ურემას და რკინიჯვრის მიდამოებში სახაფხულო იალღებზე წყალტბოს რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ აგიტმხატვრული ბრიგადა მიავლინა. აგიტმხატვრული ბრიგადის წევრებმა ი. ლექვთაძემ, რ. გარეჩავამ, თ. კინწურაშვილმა, ე. ლობჟანიძემ და სხვებმა მწყემსებთან გამართეს კონცერტი, მომთაბარე მწყემსებისათვის ნაჩვენები იქნა ახალი მხატვრული კინოფილმი „შეწყვეტილი სიმღერა“, წაკითხულ იქნა ლექცია.

ნ. შამგულიძე.

სილოსის დამზადების გეგმის შესრულება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

1960 წლის 20 აგვისტოსათვის

	ჩადებული სილოსი სულ პროცენტობით
ახალქალაქის	63,0
ბოგდანოვკის	75,4
ახალციხის	34,3
ადიგენის	44,5
ასპინძის	81,8
ქარელის	31,6
ხაშურის	2,4
გორის	9,9
კასპის	5,4
ბორჯომის	63,7
საგარეჯოს	16,4
გურჯაანის	36,3
სიღნაღის	35,9
წითელწყაროს	82,5
თელავის	35,4
ახმეტის	31,1
ყვარელის	5,3
ლაგოდეხის	0,8
სამგორის	6,5
მცხეთის	19,2
მარნეულის	19,1
ბოლნისის	54,5
წალკის	68,3
დუშეთის	—
თეთრი წყაროს	60,8
დმანისის	66,5
თიანეთის	10,6
ამბრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	38,0

წყალტუბოს	1,3
სამტრედიის	11,8
წულუკიძის	1,0
ვანის	11,7
მაიაკოვსკის	30,3
ზესტაფონის	30,7
თერჯოლის	30,6
ქალაქი ჭიათურა	37,2
საჩხერის	28,2
ორჯონიკიძის	15,2
ტყიბულის	1,9
ონის	29,4
ამბროლაურის	16,2
ცაგერის	49,0
ლენტეხის	4,3
აბაშის	—
ცხაკაიას	2,2
გრიგოლ ბერიას	2,5
ზუგდიდის	—
ხობის	—
წალენჯიხის	—
ჩხოროწყუს	—
მახარაძის	—
ლანჩხუთის	—
ჩოხატაურის	—
მესტიის	44,5
აფხაზეთის ასსრ	3,3
აჭარის ასსრ	10,8
სულ საქ. სსრ რესპუბლიკაში	27,3
იყო 1959 წლის 20 აგვისტოსათვის	34,2
იყო 1960 წლის 16 აგვისტოსათვის	18,8

PRAVDA

24 აგვისტოს მოწინავე

ლიზმის სულისკვეთებისა, უცხოა ეროვნული შეზღუდულობის, სხვა ხალხების წინაშე ყოყოჩობისა და ქედმაღლობის გრძნობა. უნარიანი, ნიჭიერი ადამიანები ყველგან არიან. მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან როდია სოციალური პირობები. რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ ადამიანის უნარი და ნიჭი თავისუფლად გამოვლინდეს მოლიანად და ემსახურებოდეს თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის საერთო ინტერესებს, მთელი მოწინავე კაცობრიობის ინტერესებს.

საქმის ერთობის, მიზნის ერთობის ეს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება დამახასიათებელი ნიშანია სოციალისტური საზოგადოების ადამიანისა, რომელიც ცხოვრობს, შრომობს, ქმნის კომუნიზმის მშენებლთა ერთიან შეკავშირებულ კოლექტივში. ეგრეთწოდებული „თავისუფალი სამყაროს“ აპოლოგეტები ბოროტად სწამებენ ცილს სოციალისტურ წყობილებას, რომელიც, მათი უბადრუკი გაგებით, თითქოს თრგუნავს ადამიანის ინდივიდუალობას. თუ ეს ასეა, მაშინ, ბატონო კაპიტალიზმის ადვოკატებო, ვინღა განახორციელა მძლავრი კოსმოსური ხომალდის გაშვება და აიძულა იგი სწრაფი ნრიელი ორბიტის ერთ-ერთ მოსახვევზე აეღო კურსი უკან დედამიწისაკენ და მორჩილად დაშვებულიყო სწორ მწვანე მინდორზე, რომელსაც გარს არტყია საკოლმეურნეო სახნავ-სათესი მიწები? უსულო რობოტებს არ ძალუძთ ასეთი ამოცანის გადაჭრა. ეს ჩვენი ნიჭიერი მეცნიერების, ჩვენი ნიჭიერი ინჟინრებისა და ტექნიკოსების, ჩვენი ნიჭიერი მუშების საქმეა, რომლებმაც საერთო გმირობაში, რაც ჩვენი საუკუნის სასწაული გახდა, ჩააქსოვეს თავიანთი გონების, თავიანთი ნიჭის, თავიანთი უნარის, თავიანთი ენერგიის, შრომითი თავდადების, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის წილი.

პარტია და მთავრობა მხურვალედ ულოცავენ ყველა მათ დიდ წელილს მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში. „თქვენი სასახელო საქმეებით, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში მათდამი, — თქვენ ერთხელ კიდევ ცხადყავით მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმის ქვეყნის მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების ძალა და ძლიერება. სოციალისტური წყობილების უდავო უპირატესობანი, დიადი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გენია“.

მისი შემოქმედებითი გენიის ახალი შესანიშნავი გამოვლინებით ამჟამად აღ-

ჩენი ქვეყნის ცხოვრების ყოველი დღე დამაჯერებლად მოწმობს სოციალიზმის სამყაროს უპირატესობას კაპიტალიზმის სამყაროს წინაშე. დგება ახალი დრო — კომუნიზმის დრო. მილიონობით ადამიანმა სამშობლოს საზღვრებს იქით იგრძნო ამ დროის ცოცხალი სუნთქვა, როცა თვალყურს ადევნებდა ჩვენი პირველი თანამგზავრების, ჩვენი კოსმოსური ხომალდების შეუჩერებელ ფრენას. უდიდესი აზრი აქვს იმას, რომ სწორედ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პეროდში მომზადდა სავსებით რეალური შესაძლებლობა, რომ ადამიანმა შეაღწიოს დღემდე მიუწვდომელ კოსმოსურ სივრცეში. კომუნიზმი ადამიანს ხდის ყოვლისმძლედ. აღვიძებს მასში შემოქმედსა და აღმშენებელს, თავისუფალს ანგარებისაგან, რასაც წარმოშობს კერძომესაკუთრული საზოგადოება.

საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებიც ყოველთვის და ყველაფერში ერთგული არიან პროლეტარული ინტერნაციონა-

24 აგვისტოს მოწინავე

ლიზმის სულისკვეთებისა, უცხოა ეროვნული შეზღუდულობის, სხვა ხალხების წინაშე ყოყოჩობისა და ქედმაღლობის გრძნობა. უნარიანი, ნიჭიერი ადამიანები ყველგან არიან. მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან როდია სოციალური პირობები. რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ ადამიანის უნარი და ნიჭი თავისუფლად გამოვლინდეს მოლიანად და ემსახურებოდეს თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის საერთო ინტერესებს, მთელი მოწინავე კაცობრიობის ინტერესებს.

საქმის ერთობის, მიზნის ერთობის ეს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება დამახასიათებელი ნიშანია სოციალისტური საზოგადოების ადამიანისა, რომელიც ცხოვრობს, შრომობს, ქმნის კომუნიზმის მშენებლთა ერთიან შეკავშირებულ კოლექტივში. ეგრეთწოდებული „თავისუფალი სამყაროს“ აპოლოგეტები ბოროტად სწამებენ ცილს სოციალისტურ წყობილებას, რომელიც, მათი უბადრუკი გაგებით, თითქოს თრგუნავს ადამიანის ინდივიდუალობას. თუ ეს ასეა, მაშინ, ბატონო კაპიტალიზმის ადვოკატებო, ვინღა განახორციელა მძლავრი კოსმოსური ხომალდის გაშვება და აიძულა იგი სწრაფი ნრიელი ორბიტის ერთ-ერთ მოსახვევზე აეღო კურსი უკან დედამიწისაკენ და მორჩილად დაშვებულიყო სწორ მწვანე მინდორზე, რომელსაც გარს არტყია საკოლმეურნეო სახნავ-სათესი მიწები? უსულო რობოტებს არ ძალუძთ ასეთი ამოცანის გადაჭრა. ეს ჩვენი ნიჭიერი მეცნიერების, ჩვენი ნიჭიერი ინჟინრებისა და ტექნიკოსების, ჩვენი ნიჭიერი მუშების საქმეა, რომლებმაც საერთო გმირობაში, რაც ჩვენი საუკუნის სასწაული გახდა, ჩააქსოვეს თავიანთი გონების, თავიანთი ნიჭის, თავიანთი უნარის, თავიანთი ენერგიის, შრომითი თავდადების, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის წილი.

პარტია და მთავრობა მხურვალედ ულოცავენ ყველა მათ დიდ წელილს მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში. „თქვენი სასახელო საქმეებით, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში მათდამი, — თქვენ ერთხელ კიდევ ცხადყავით მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმის ქვეყნის მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების ძალა და ძლიერება. სოციალისტური წყობილების უდავო უპირატესობანი, დიადი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გენია“.

ВЕЧЕРНИЙ ТБИЛИСИ

ВЕЧЕРНИЙ ТБИЛИСИ

ВЕЧЕРНИЙ ТБИЛИСИ

...რომ მჯიცედ ვიცავდეთ საბჭოთა კანონიერებას

საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სასამართლო-პროკურატურის, მილიციის ორგანოებმა უკანასკნელ ხანს ცოტა მუშაობა როდი გასწიეს დანაშაულებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამან საგრძნობლად შეამცირა კანონიერების დარღვევის შემთხვევები.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ჯერ კიდევ ირის დანაშაულებრივი გამოვლინებანი, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები. სწორედ მათ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა სახალხო სასამართლოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, სადაც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. ვეფხვაძე.

მართალია, ამ მიმართულებით საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს, მაგრამ სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვთ. კერძოდ, ცალკეულ საქმეთა განხილვის დროს არის არასწორი, ლმობიერი განაჩენის გამოტანის შემთხვევები.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ვინმე ი. გ. გრაკლიშვილის დანაშაულის საქმე. ი. გრაკლიშვილმა სადგურ მეტეხში სავაჭრო წერტი გატეხა და რამდენიმე ათასი მანეთის ღირებულების საქონელი გაიტაცა. აღსანიშნავია, რომ ეს ბოროტმოქმედი წინათ სამჯერ იყო ნასამართლევი ქურდობისათვის.

კასპის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ა. ვოგოლაძე) გაუსწორებელი ქურდი-რეციდივისტი ი. გრაკლიშვილი ხელახლა აღზრდისათვის და გამოსწორებისათვის ქალაქ თბილისის № 5 ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივს გადასცა (!). პირდაპირ გაოცებას იწვევს ის, რომ გრაკლიშვილს აღნიშნულ დაწესებულებაში არასოდეს არ უმუშავნია და, ცხადია, ეს კოლექტივიც არ იცნობდა მას.

კანონის ასეთი დამახინჯებისა და უგულებელყოფისათვის მოსამართლე ა. გოგოლაძეს მკაცრი პარტიული სასჯელი დაედო და გამოწვეულ იქნა მოსამართლის თანამდებობიდან.

ამასწინათ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ი. პუდოვის თავმჯდომარეობით გაირჩა ბოროტმოქმედების ა. მ. მელაძისა და მ. ა. თარბას საქმე. ეს ორი დამნაშავე სისტემატურად ეწეოდა მოქალაქეთა ძარცვას და სახალხო დოვლათის დატაცებას. მძარცველთა ჯგუფმა კოლმეურნეობის მოლარე მოკლა, რის შემდეგ გაიტაცა დიდძალი თანხა და ობლიგაციები. სასამართლომ ამ-მარემ ბ. შორშაძემ, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს მარტო პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს ორგანოები ებრძოდნენ. ამჟამად ამ საქმეში ჩაბმული არიან მშრომელთა ფართო მასები.

საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე

ძარა ლმობიერება გამოიჩინა და ასეთი მძიმე დანაშაულობისათვის ა. მ. მელაძეს 3 წლის და მ. ა. თარბას მხოლოდ ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა.

საბჭოთა კანონიერების ასეთი დამახინჯებანი იყო აგრეთვე ჩოხატაურის, დუშეთის, ხაშურის, ქარელის, ბოგდანოვკის, სამგორის და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებში.

ზოგიერთი სასამართლო ზოგჯერ ღრმად არ სწავლობს საქმეებს, გულისხმიერებას არ იჩენს ადამიანისადმი და უსაფუძვლოდ სჯის მას. თათბირზე დასახელებულ იქნა საქმეთა განხილვის ვადების დარღვევის მრავალი ფაქტები.

წინათ, განაცხადა თათბირზე სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ ბ. ბაბაევმ, ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ჯერ კიდევ ირის ბრძოლა ნელდეულის ხარისხზე. ეს ბრძოლა ბელს ვერ უწყობს ხელს ბრძოლას ნელდეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ჩვენმა მეთამბაქოეებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ ტეტი ხარისხოვანი ნედლეული, რათა პირველი ორი ყველაზე ხარისხოვანი ჯიშის გამოსავლიანობა მთელი მოსავლის სულ მცირე 20 პროცენტს შეადგენდეს. გარდა ამისა, კოლმეურნეობებმა პირობა დადეს წლიური გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ სახელმწიფოს 200 ტონა თამბაქოს ნედლეული.

ამ დღეებში გაჩაღდა თამბაქოს ფოთლის მასობრივი ტეხა, ანმცსა და შრომა. კოლმეურნე მეთამბაქოეები კარგად იმეცადინეებენ, რომ აგვისტო ერთ-ერთი გადამწყვეტი თვეა მოსავლისათვის და თამბაქოს ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, ამიტომ დაუცხრომლად შრომობენ.

კოლმეურნეობებმა უკვე დაიწყეს სახელმწიფოსათვის აფხაზური ოქროსფერი თამბაქოს ჩაბარება. დღითიდღე ძლიერდება მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის ტემპები.

მეთამბაქოობაში ფრიად პასუხსაგები ღონისძიებაა თამბაქოს ფოთლის დროულად შეტეხვა და ანმცსა, აგრეთვე სწორად შრობა. მიმდინარე წელს კოლმეურნე მეთამბაქოეებმა 100 მილიონ ზონარ-მეტრზე მეტი თამბაქოს ფოთოლი უნდა შეტეხონ და ანმცსონ.

კოლმეურნეობები თავიანთი პრაქტიკით დარწმუნდნენ, რომ ყოველ ჰექტარ თამბაქოზე უნდა აშენდეს თამბაქოს საშრობი ფარდულების ერთნახევარი განყოფილება. კოლმეურნეობები წელს აშენებენ 500 ახალ განყოფილებას და შეაკეთებენ თამბაქოს არსებული საშრობი ფარდულების 3 ათას განყოფილებას.

მეთამბაქოობის წლევანდელ სეზონში კოლმეურნეობებში გამოსცდიან ამხ. ადამიასა და კუჭავას წინადადებით აგებულ მექანიზებულ საშრობებს. ფრიად პერსპექტიულია საშრობი ჩარჩოების მექანიკური გამოგორებისა და შეგორების კონსტრუქცია, რომელიც გამომგონებელმა ამხ. ახელედიანმა წამოაყენა. საშრობი ფარდული, რომელშიც გამოყენებული იქნება ეს მექანიზებული კონსტრუქცია, შენდება სოხუმის რაიონის სოფელ გულრიფშის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში.

მომდინარე წელს დიდი ყურადღება ექცევა მეთამბაქოეთა შრომის ანაზღაურებაში ნაკლოვანებების აღმოფხვრას. ბევრ კოლმეურნეობაში მიღებული იყო ანაზღაურება გამომუშავებული ნედლეულის რაოდენობის და მისი საერთო ღირებულების მიხედვით. ეს სისტემა ბელს ვერ უწყობს ბრძოლას ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, და ახლა წარმოებს მუშაობა მისი სრულყოფისათვის. მეთამბაქოობის კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება მომდინარე წელს განხორციელდება არა მარტო მოყვანილი თამბაქოს რაოდენობის მიხედვით, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომდინარეობს აგრეთვე ვაშლის, მსხლისა და სხვა ხილის კრეფა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

მოსავლის აღებისათვის ემზადებიან მევენახეებიც. წელს კარგ მოსავალს მოველით. მევენახეობის სეზონისათვის ემზადებიან საქართველოს სსრ სავტრესტის აფხაზღვინკომბინატის ქარხნები, ზოგიერთ კოლმეურნეობაში მწიფდება უზაკეთიდან შემოტანილი სასუფრე ჯიშების ყურძენი. შვიდწლედის წლებში სასუფრე ჯიშების ვაზის გაშენება გაიზრდება, რათა უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ჯანმრთელობის კერების, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული დამსვენებელთა მოთხოვნილება ყურძნზე.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი, დიდი ალმაცერებით ემზადებიან სასახალო დღესასწაულისათვის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავისათვის. აფხაზეთის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გადაწყვიტეს ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მიაღწიონ ახალ სასახელო შრომით წარმატებებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაში, საბინაო, სოციალურ-კულტურულ, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობასა და კეთილმოწყობაში.

და ეს დაპირებები პირნათლად შესრულდება.

...ᲠᲝᲛ ᲛᲫᲙᲘᲪᲔᲓ ᲕᲘᲪᲐᲕᲓᲔᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ

ᲖᲐᲚᲘᲡ რაიონის სოფელ თაგილონის მეჩაიემ გულნარა შუბლაძემ ვალდებულება იკისრა 0,3 ჰექტარზე ნაცვლად 2.400 კილოგრამისა, მოკრიფოს 6 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. დღემდე მან ჩააბარა 5.400 კილოგრამი ნედლეული და ახლა ყოველდღიურად კრეფს 60-70 კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: გულნარა შუბლაძე.
ფოტო ი. ნანიეაშვილისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲩᲘ ᲩᲐᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲑᲐᲙᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲘᲡᲔᲕᲔ, როგორც მთელი ქართველი ხალხი, აფხაზეთის მშრომელები დიადი ლენინური პარტიისათვის, თავიანთი მძლავრი სამშობლოსათვის სიამაყისა და სიხარულის გრძნობით ახორციელებენ XXI კონგრესის გადწყვეტილებებს, წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

მომდინარე წლის შვიდი თვის შესანიშნავი შედეგია სასოფლო-სამეურნეო სამეურნეოთა წარმატებით შესრულება, აგრეთვე ჩაის, თამბაქოსა და სხვა კულტურების მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღება.

ჩაის მეურნეობა საბჭოთა საქართველოს სიამაყეს წარმოადგენს. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის მეთხებით იგი განუხრელი აღმავლობის გზით მიდის. აფხაზეთის მეჩაიეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ვადამდე შეასრულონ შვიდწლედის დავალებანი, მიცემ სამშობლოს მეტი „მწვანე ოქრო".

ამ ცხარე დღეებში, რომლებშიც მოსავლის აღების მთელი ალობის წარმატება წყდება, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მეჩაიეებს მიმართეს მოწოდებით, რომელშიც მაღალი შეფასება მისცეს ჩაის პლანტაციების მშრომელთა ღონისძიებებს და მოწონავეთა შორის აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებიც აღნიშნეს.

ამ მოწოდების პასუხად აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა პირობა დადეს ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით მოკრიფონ კიდევ 500 ტონა ჩაის ფოთოლი. ამრიგად, აფხაზეთის მეჩაიეთა ვალდებულებანი წლიური გეგმის გადამეტებით ჩაის ფაბრიკებს ჩაბარონ 1.770 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

აფხაზეთის მეჩაიეთა სიტყვა და საქმე ერთია. 20 აგვისტოსათვის მათ უკვე ჩაბარეს ჩაის ფაბრიკებს 22.125 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამჟამად აფხაზეთის მეჩაიეთა ღონისძიებები მიმართულია იმისაკენ, რომ მთლიანად რესპუბლიკამ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა აგვისტოში შეასრულოს, ხოლო სექტემბერში ჩაის ფოთლის კრეფა 24.500 ტონამდე აიყვანოს, და ამით ვალდებულებები შესრულებული იქნება.

ჩაისათვის ბრძოლაში ყოველდღე იბადება ახალი შრომითი გმირობა. ამ გმირობას სჩადიან უბრალო საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ თავიანთი საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის.

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა აფხაზეთში პირველმა შეასრულა გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც გამგეობის თავმჯდომარეა ამხ. დ. გოგობერიშვილი. კოლმეურნეობას პარტიის რაიკომისა და რაიაღსკომის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

მეჩაიეთა სოციალისტური შეჯიბრების მოწონავეთა შორის არიან კოლმეურნეები გუდაუთის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „დურიფშისა", სადაც თავმჯდომარეა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აგრონომი ამხ. ა. ლაკოია. ამ კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში მიჰყიდა სახელმწიფოს 1.400 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, ახლა კი კოლმეურნენი იმისათვის იბრძვიან, რომ სეზონის ბოლომდე 200 ტონა ჩაის ფოთოლი კიდევ მოკრიფონ.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-2 გვერდი, ხუთშაბათი,
25 აგვისტო, 1960 წ.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ,
აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ჩაისათვის ბრძოლაში საუკეთესო შედეგებს კოლმეურნეობა „დურიფშში" მიაღწია მე-16 ბრიგადამ, რომელსაც ზოსიმე არძინბა ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ კოლმეურნეობაში ყველაზე ადრე დაიწყო ჩაის კრეფა ახალ ვალდებულებათა ანგარიშშიც. სეზონის დაწყებიდან სამ-სამი — ხუთ-ხუთი ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს მოწონავე კოლმეურნეებმა სონია საკანიამ, მარიამ არძინბამ, ფროსია გურძანიამ, მერი ავიძბამ და სხვებმა.

„მწვანე ოქროს" კრეფის მოწონავეთა რიგებში დგება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ასობით მკრეფავი. მათ შორის არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მატრონა ლეონტიევა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ნათელა ბულისკერია გალის რაიონის სოფელ ოქმის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში, საუკეთესო მკრეფავი ირინე ქალდანი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და ბევრი სხვა.

ამასწინათ აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართა მიტინგები და კრებები, რომლებზეც მეჩაიეები საქმიანად გამოეხმაურნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვას. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ცხადყოფენ თავიანთ მაღალ პატრიოტიზმს, ახალ რეზერვებს ავლენენ და გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ მოსავლისათვის ბრძოლაში.

აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, რომლებმაც ჩაისათვის ბრძოლის მდიდარი გამოცდილება შეიძინეს, მთავარ ყურადღებას აქცევენ ახსებული რეზერვების გამოყენებას, კომუნისტების, კომკავშირელების, ყველა შრომელთა მობილიზაციას კრეფის სეზონის წარმატებით დამთავრებისათვის, რათა მნიშვნელოვანი ოდენობით გადაჭარბონ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულებებს.

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად პლანტაციებში, ბრიგადებში, იქ, სადაც წყდება მოსავლის ბედი, გაგზავნილია ასობით აგიტატორი.

წარმატება, რომელსაც აფხაზეთის მეჩაიეებმა მიაღწიეს, მეზობელი რესპუბლიკის — აჭარის ასს რესპუბლიკის მეჩაიეებთან ტრადიციული შეჯიბრების შედეგიც არის. ერთმანეთთან მისვლა, მოწონავე გამოცდილების შესწავლა და გავრცელება შესანიშნავ ნაყოფს იძლევა.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ჩვენს ქვეყანაში მაღალხარისხოვანი მეთამბაქოობის ერთ-ერთი წამყვანი რაიონია. სამსონის ჯიშის შესანიშნავ აფხაზურ თამბაქოს კოლმეურნეობებში 8 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს, რაც საქართველოში ამ კულტურის მთელი ფართობის ნახევარს შეადგენს.

აფხაზეთის კოლმეურნეებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მოსავლიანობის გადიდებაში. მაგალითად, ბარშან საშუალოდ ჰექტარზე კოლმეურნეობებმა 12 ცენტნერი თამბაქოს ნედლეული მიიღეს, ხოლო თამბაქოს საერთო წარმოებამ 9.224 ტონას მიაღწია.

წელს მეთამბაქოეთა შეჯიბრებაში დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშანია ბრძოლა თამბაქოს ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ჩვენმა მეთამბაქოეებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ ტეტი ხარისხოვანი ნედლეული, რათა პირველი ორი ყველაზე ხარისხოვანი ჯიშის გამოსავლიანობა მთელი მოსავლის სულ მცირე 20 პროცენტს შეადგენდეს. გარდა ამისა, კოლმეურნეობებმა პირობა დადეს წლიური გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ სახელმწიფოს 200 ტონა თამბაქოს ნედლეული.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲘ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡᲐᲥᲡᲝᲕᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲘᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲡᲘᲜᲯᲣᲡᲢᲘᲗ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲛ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ფაბრიკის უფროსი გამხამებელი რობერტ მუხაძე მოსამზადებელი საამქროს მუშებს (მარცხნიდან მარჯვნივ) ნელი შერმადინს, ნელი ერმოლინას და დოდო ქავთარაძეს ესაუბრება კოსმოსურ ხომალდზე გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შესახებ.
ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜ

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ

* ᲩᲐᲠᲩᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲥᲐᲠᲩᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲨᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲣᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜᲘ * ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ * ᲤᲝᲗᲘᲡ ᲗᲔᲕᲖᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ინიციატივა

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ რაიონის სამრეწველო საწარმოთა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში შექმნილია 15 სხვადასხვა სახის პარტიული კონტროლის კომისიები. მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს რამდენიმე ათეული კომუნისტი. მათ შორის არიან წარმოების ნოვატორები, სპეციალისტები, მუშები, ტექნიკური მუშაკები.

ეს კომისიები რეგულარულად ახორციელებენ კონტროლს საწარმოო დავალებათა შესრულების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირებისადმი, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისადმი.

ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის უბნის ხელმძღვანელობა წინათ სათანადო ყურადღებას არ აქცევდა სამუშაო ადგილის წინასწარ მომზადებას. ხე-ტყის სამაგრი მასალა სანგრევში თვით მნგრეველებს მიჰქონდათ, ლავებში მოუწესრიგებელი იყო ვენტილაცია, ადგილზე არ წარმოებდა მომნგრევი ჩაქუჩების შეკეთება, რის შედეგად თვითეული მნგრეველი ყოველდღიურად 1,5-2 საათს ცდებოდა.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების პარტიული კონტროლის კომისიამ (თავმჯდომარე ა. კომახიძე) შეისწავლა ეს მდგომარეობა და საკითხი დასვა პარტბიუროს წინაშე. შახტის პარტიულმა ბიურომ კომისიის წინადადებანი უბნის ხელმძღვანელებისა და სამთო ოსტატების თანდასწრებით განიხილა. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. მდგომარეობა არსებითად გაუმჯობესდა. შეიქმნა ხე-ტყის მიწოდებელი სპეციალური ბრიგადები, მინიმუმამდე შემცირდა მუშების მოცდენა, გაიზარდა ქვანახშირის მოპოვება. შახტმა მიმდინარე წლის 7 თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. წარმატებებს აგვისტოშიც განამტკიცებს.

ასევე კარგად მუშაობენ № 2 შახტისა და წრიოხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციებთან შექმნილი პარტიული კონტროლის კომისიები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები ინტერესს იჩენენ კომისიების საქმიანობისადმი, საჭირო დახმარებას უწევენ მათ მუშაობის უკეთ დაყენების საქმეში.

ამას წინათ მოეწყო პარტიული კონტროლის კომისიების თავმჯდომარეების, წევრებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირი. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში პარტიული კონტროლის კომისიების საქმიანობის შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. ქერქაძე. მოხსენების შემდეგ თათბირის მონაწილეებს თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს პარტიული კონტროლის კომისიების თავმჯდომარეებმა და პარტორგანიზაციების მდივნებმა.

მოწონავეთა გამოცდილების განზოგადების მიზნით ფართოდ ვიყენებთ საინსტრუქტაჟო თათბირებს, სემინარულ მუშაობას, ძირეულ პრესას. რაიონული გაზეთი „წითელი დროშა" აქვეყნებს მასალებს პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი კომისიის მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. შეცდომებია დაშვებული კომისიების წევრთა შერჩევაში. საქდიატორმიტის ახალციხის მაღაროს № 115 წარმოებაში ინჟინერ-ტექნიკოსი ბ. ბ. ბ. ... ...

წარმატებას გისურვებთ საბჭოთა ოლიმპიელებო!

დღეს რომში

⊙

უჩვეულოა დღეს რომი, ოლიმპიური ასპარეზობის ეს უძველესი ქალაქი, თითქმის ყველგან საზეიმო განწყობილება სუფევს, იგრძნობა ოლიმპიური მაჯისცემა, დიდი სტარტის მოლოდინი.

ერთი სიტყვით, იტალიის დედაქალაქი ოლიმპიური ასპარეზობით სუნთქავს, ამ დიდი შეჯიბრებით არის დღეს დაინტერესებული მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა, დიდი თუ პატარა.

სტუმართა რიცხვმა რომში მოლოდინს გადააჭარბა. გარდა სპორტულ დელეგაციათა უკანასკნელი ჯგუფებისა იტალიის დედაქალაქს ეწვია ათასობით ტურისტი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანი, ჟურნალისტი, რადიოკომენტატორი.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყურადღების ცენტრში დგას ოლიმპიური ასპარეზობის პირველი დღე, მგზნებრობისა და მშვიდობის ამ შესანიშნავი შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალი — შეხვედრებში მონაწილე ქვეყნების სასახლისმცოდნეთა პარადი, ოლიმპიური ცეცხლის ანთება, ალმის აღმართვა, საჩვენებელი გამოსვლები.

ყოველივე ეს მოხდება დღეს, 25 აგვისტოს, რომში, იტალიის დედაქალაქში. ბილეთები ამ დღისათვის ოლიმპიურ ცენტრალურ სტადიონზე, რომელიც 100.000-მდე მაყურებელს იტევს, დიდი ხნით ადრე გაიყიდა.

დღეს რომში ჩაიტანენ ოლიმპიურ ჩირაღდანს, რომელმაც ათასობით კილომეტრი განვლო. მარტო მძლეოსნებმა ესტაფეტის სახით იგი 1.500 კილომეტრზე გაატარეს. ჩირაღდნის გადაცემის ცერემონიალი ყველგან ნამდვილი სპორტული ზეიმი იყო. უკანასკნელ ეტაპზე ოლიმპიურ ჩირაღდანს მიიღებს და მას ცენტრალურ სტადიონზე მიიტანს 19 წლის იტალიელი სტუდენტი კარლო პერისი. აქვე აანთებენ ოლიმპიურ მუდმივ ცეცხლს.

თითქმის ოთხ წელს ინახებოდა ოლიმპიური ალამი მელბურნში — XVI ოლიმპიური ასპარეზობის ამ ქალაქში. ალმაზე აღბეჭდილია ხუთი სხვადასხვა ფერის გადაჯდომელი რგოლი და სიმბოლურად გამოხატავს დედამიწის ხუთივე კონტინენტის ურთიერთობას. ამ ალამს, რომელიც რამდენიმე დღეა იტალიის დედაქალაქში ჩაიტანა მელბურნის მერმა, დღეს გადასცემენ რომის მერს, ხოლო შემდეგ მსოფლიოს გამოჩენილი სპორტსმენები XVII ოლიმპიური ასპარეზობის გახსნის ნიშნად მას საზეიმოდ აღმართავენ.

სურათებზე: საქართველოს ოლიმპიელთა ერთი ჯგუფი. ზევიდან — გ. სხირტლაძე, ლ. იევლევა, გ. მინაშვილი, რ. შავლაყაძე, ა. ქორიძე, რ. ქვაჩაკიძე.

რომში დიდი პოპულარობით სარგებლობენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებსაც აქ იცნობენ არა მარტო საერთო სპორტული ფორმით, არამედ იმ მაჩვენებლებითაც, რომლებიც ოლიმპიური ასპარეზობის წინ თვითეულ მათგანს აქვს. ცნობილი საბჭოთა კალათბურთელი კრუშინი იტალიაში აღიარებულია ყველაზე მაღალ სტუმრად, როგორც ჩანს, მასპინძლებს მხედველობი დან გამორჩენიათ საბჭოთა გიგანტის ფიზიკური აღნაგობა. მისთვის საგანგებოდ ორი ადგილი ჯდომია.

ბევრნი, მათ შორის სპორტული მიმოწილველები საერთო გამარჯვებას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს უწინასწარმეტყველებენ. აკეთებენ რა გასულ ასპარეზობებში ამ ქვეყნების მაჩვენებლების ანალიზს, როგორც არაოფიციალურ საერთო-გუნდურ ჩათვლაში, ისე ნოპოვებული შედეგების მიხედვით, პრიორიტეტს საბჭოთა სპორტსმენებს აკუთვნებენ.

საერთო ყურადღებას იპყრობს მძლეოსანთა ასპარეზობა, რადგან ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებული სპორტის 22 სახეობიდან ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების ყველაზე მეტი რაოდენობა (129) სწორედ მძლეოსნობაზე ოდოდის. ამ სახეობაში პირველობის მთავარი პრეტენდენტები არიან სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები.

ამერიკელები მედლების უხვი მოსავლის იმედს ყველაზე მეტად მძლეოსნებსა და კალათბურთელებზე ამყარებენ. მაგალითად, სპორტული მიმოხილველი ჯ. აბრამსონი წერს, რომ ამერიკელებს მძლეოსნობიდან სულ მცირე 10-14 მედალი მოელით. და ასახელებს ამ კანდიდატებს — 100 და 200 მეტრზე რბენაში — მორროუს, 400 მეტრზე თარჯრბენში — დევისს, ბადროს ტყორცნაში — ორტერსს, ბირთვის კვრაში — ბრაიენს, უროს ტყორცნაში — კონელის, სიგრძეზე ხტომაში — ბელის, სიმაღლეზე ხტომაში — დიუმასს.

ეს ის სპორტსმენები არიან, რომლებიც ადრე ოლიმპიურ შეჯიბრებაში გამოდიოდნენ. ამერიკელები დიდ იმედს ამყარებენ აგრეთვე ახალგაზრდა სპორტსმენებზე, რომლებმაც შერჩევით შეხვედრებში მაღალი შედეგები აჩვენეს და შეუვანილი არიან ოლიმპიურ ნაკრებში. ესენი არიან ტომასი (სიმაღლეზე ხტომაში), ოუენსი და რობერტსონი (სიგრძეზე ხტომა) და სხვ.

მაგრამ მძლეოსნობის მთელ რიგ სახეობებში ამერიკელთა ჯარმატება აშკარა ეჭვქვეშ დგას. შემთხვევით რომდი აღნიშნავს ამერიკული სპორტული ჟურნალი „სპორტ ილუსტრეიტედი", რომ ამ ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენები მოიპოვებენ 48 ოქროს, 36 ვერცხლის და 39 ბრინჯაოს მედალს, მაშინ როცა ამერიკელებს უწინასწარმეტყველებს 32 ოქროს, 24 ვერცხლის და 19 ბრინჯაოს მედალს. ჟურნალს, როდესაც იგი ასეთ უპირატესობას აძლევს საბჭოთა სპორტსმენებს, მხედველობაში აქვს საბჭოთა გუნდის პრიორიტეტი ტანვარჯიშში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში და სპორტის სხვა სახეობებში.

XVII ოლიმპიური ასპარეზობის თავისებურება უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ შეჯიბრებაში მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ახალგაზრდობაა, რომელიც ასეთ გრანდიოზულ შეხვედრებში პირველად გამოდის. საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები დაკომპლექტებულია 15 მოკავშირე რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენებით. მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის შემდეგ ნაკრებ გუნდში შემავალ სპორტსმენთა რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა საქართველო, რომელმაც რომში გაგზავნა თავისი 18 წარმომადგენელი. მელბურნში კი ჩვენი რესპუბლიკიდან 10 კაცი გამოდიოდა.

ვინ დაიცავს საქართველოდან სსრ კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას? ესენი არიან კლასიკური თავისუფალი მოჭიდავეები — ბიმბი კარტოზია, ბიორგი სხირტლაძე, ავთანდილ ქორიძე, ვლადიმერ რუბაშვილი, ვახტანგ გალავაძე, როსტომ აბაშიძე, თბილისის „დინამოს" კალათბურთელები — გურამ მინაშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე, მძლეოსნები — რობერტ შავლაყაძე, ლიუდმილა იევლევა, რევაზ ქვაჩაკიძე, ალექსანდრე ზჩერბინა. იური დიაჩკოვი, მოფარიკავეები — გურამ კოსტავა და ნუგზარ ასათიანი, წყალბურთელები — ბიმბი ჩიქვანაია და ლერი გოგოლაძე, მცურავი ბორის ნიკიტინი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები, რომლებმაც მელბურნიდან სამშობლოში 8 მედალი ჩამოიტანეს, რომიდანაც ხელცარიელი არ დაბრუნდებიან, კიდევ უფრო ასახელებენ საბჭოთა სპორტს, სამშობლოს.

წარმატებას გისურვებთ ჩვენი დიადი ქვეყნის წარგზავნილებო, საბჭოთა ოლიმპიელებო, ჩვენო თანამემამულეებო!

ოლიმპიური ქრონიკა

◆ ამ დღეებში სსრ კავშირის ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. რომანოვი ეწვია იტალიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს ჯულო ონესტის და მადლობა გადაუხადა მას იმ ყურადღებისა და ზრუნვისათვის, რომელსაც იტალიის ოლიმპიური კომიტეტი იჩენს საბჭოთა სპორტსმენებისადმი. ონესტიმ განაცხადა, რომ იტალიელი სპორტის მოყვარულები შეუნელებელი ინტერესით მოელიან სარბიელებზე საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლას, რომელთა ოსტატობით ისინი მოხიბლული არიან.

◆ პირველი ორი ოლიმპიადა მოეწყო ათენსა და პარიზში 1896 და 1900 წ. წ. მას შემდეგ მეგობრობის ეს გრანდიოზული ასპარეზობა იმართება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. მომდევნო 3 ოლიმპიური ასპარეზობა შედგა სენტ-ლუისში (ამერიკის შეერთებული შტატები), ლონდონში (ინგლისი), სტოკჰოლმში (შვეცია). VI ოლიმპიადა 1916 წელს არ შემდგარა მსოფლიო ომის გამო. VII ოლიმპიადა ჩატარდა ანტვერპენში (ბელგია), VIII — პარიზში, IX — ამსტერდამში (ჰოლანდია), X — ლოს-ანჟელოსში (ამერიკის შეერთებული შტატები), XI — ბერლინში (გერმანია). XII და XIII ოლიმპიადები მსოფლიო ომის გამო არ შემდგარა. XIV ოლიმპიადა მოეწყო ლონდონში, XV — ჰელსინკში (ფინეთი), XVI — მელბურნში (ავსტრალია)

◆ XVII ოლიმპიადის წინა დღეებში წვრთნასთან ერთად რომში მოეწყო რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. იტალიელები განსაკუთრებით დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს სსრ კავშირისა და იაპონიის მოჭიდავეთა, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ამხანაგურ შეხვედრებს.

◆ რომის ოლიმპიურ სოფელში მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო სუფევს. ამასწინათ საბჭოთა სპორტსმენებმა აქ მოაწყეს მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი. უკრაინული სიმღერების შესრულებით მოწონება დაიმსახურა მსოფლიო ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში ვ. სინიავსკიმ, ცეკვაში თავი ისახელეს ოლიმპიური ასპარეზობის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ლ. ლატინინამ და მსოფლიოს ჩემპიონმა ვახტანგ ბალავაძემ.

826 მედალი

რომის სპორტული ბაზები უძლიერ რესებს სტარტზე იხმობს, ჩართავენ წამომზომებს, გათამაშდება პირველი ოლიმპიური მედლები.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ოლიმპიური მედლის გამოსახულებას. მას ყოველი ასპარეზობის შემდეგ. გადასცემენ გამარჯვებულს, ასპარეზობის ჩემპიონს.

სულ რომში 826 მედალი გათამაშდება, აქედან 272 ოქროსი, ამდენივე ვერცხლისა და 282 ბრინჯაოსი. ბრინჯაოს მედლების სიმაღლე გამოიყენეს იმით, რომ კრიშში მე-3 და მე-4 ადგილებისათვის ბრძოლა არ შედგება და ნახევარფინალში დამარცხებულ მოკრიკვეებს მინიმუმებენ ბრინჯაოს მედლებს.

ყველაზე მეტი მედალი (43 ოქროს, 43 ვერცხლისა და 43 ბრინჯაოსი) მოდის მძლეოსნობაზე, ცურვაზე (ოცდათერთმეტ-ოცდათერთმეტი), ფარიკაობაზე (ოცდარვა-ოცდარვა), ნიჩბოსნობაზე (ოცდაექვსი-ოცდაექვსი).

თანამედროვე ხუთბრძოლაში, ტანვარჯიშსა და ცხენოსნობაში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები პრიზიორებს გადაეცემათ როგორც პირად, ისე გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებისათვის. XVII ოლიმპიურ ასპარეზობაზე თორმეტ-თორმეტ მედალს მიიღებენ პირველ სამ ადგილზე გამოსული კალათბურთელთა გუნდები, ხოლო თერთმეტ-თერთმეტ მედალს ფიხბურთისა და წყალბურთის ტურნირებში გამარჯვებულნი.

უშიშროების საბჭოს სხდომა

მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ახალ სახელმწიფოთა მიღებისადმი

ბიულეტენი

და თანამშრომლობის პოლიტიკას. უნგარო დახმარებასა და მხარდაჭერას უწევს მათ. იგი ამ ქვეყნებს ეხმარება მათი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და, კერძოდ, იქ თანამედროვე ინდუსტრიული ბაზის — მათი ეკონომიური დამოუკიდებლობის საფუძვლის შექმნაში.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ ყოველი ახალი სახელმწიფოს მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთაშორისო ორგანიზაციის ცხოვრებაში. აფრიკის ახალი ქვეყნების მიღება ამაღლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლს, ახალი ნაკადი შეაქვს მის საქმიანობაში, უფრო უნივერსალურსა და წარმომადგენლობითს ხდის მას.

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გაიმართა უშიშროების საბჭოს მეშვიდე სხდომა წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად იმ ახალ სახელმწიფოთა მიღების საკითხის განსახილველად, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ ბიიღეს დამოუკიდებლობა. უფრო ადრე საბჭომ ურჩია გენერალურ ასამბლეას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად მიეღო აფრიკის ექვსი ახალგაზრდა ქვეყანა: კამერუნის რესპუბლიკა, კონგოს რესპუბლიკა, მალის ფედერაცია, მალგაშის რესპუბლიკა, სომალი და ტოგო. გუშინ უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა აფრიკის კიდევ რვა რესპუბლიკის: დაგომეის, ნიგერის, ზემო ვოლტის, სპილოს ძვლის ნაპირის, ჩადის, კონგოს (ყოფილი საფრანგეთის კოლონია), ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკისა და გაბონის თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ.

საბჭოს სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი პ. დ. მოროზოვი, რომელმაც განაცხადა: ცვლილებანი, რომლებიც დღეს აფრიკის მატერიკზე ხდება ჭეშმარიტად ისტორიულია. შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ 1960 წელი კაცობრიობის ისტორიაში შევა როგორც აფრიკის წელი. აფრიკის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენს უცხოელთა მიერ სუკუნეობრივი ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის მათი ხალხების მამაცური ბრძოლის შედეგს. მაგრამ სახელმწიფო სუვერენიტეტის მოპოვებით ხალხთა ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ არ მთავრდება. ამ მომენტიდან იწყება მისი ახალი ეტაპი — ბრძოლა ნამდვილი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა კავშირი, განაცხადა მოროზოვმა, განუხრელად ახორციელებს აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან მეგობრობისა

„არხანგელსკი" მატადის ნავსადგურში

ლენინგრადი, 23 აგვისტო, (საკდესი). კონგოს მატადის ნავსადგურში, რომელიც მდინარე კონგოს შესართავშია, ჩამოვიდა საბჭოთა თბომავალი „არხანგელსკი", რომელმაც კონგოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში ჩამოიტანა საბჭოთა სატვირთო ავტომანქანები, მათი სათადარიგო ნაწილების კომპლექტი, აგრეთვე ავტოსარემონტო სახელოსნო.

რეპატრიირებულ ესპანელთა დევნა

პარიზი, 23 აგვისტო. (საკდესი). ფრანკისტული პოლიცია განაგრძობს იმ ესპანელთა დევნას, რომლებიც რეპატრიირებული არიან საბჭოთა კავშირიდან, ნთქვამია ცნობაში, რომელიც გაზეთმა „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა. მაგალითად, აღნიშნავს გაზეთი, ორი ახალგაზრდა ქალი ანხელიტა ერნანდესი და ანა დელ ბოსკი (პირველია ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეორე კი—აგრონომი), რომლებიც რეპატრიირებული არიან ესპანეთში 1956 წელს, ვალდებული არიან ყოველ მეორე დღეს გამოცხადდნენ სახელმწიფო უშიშროების სამმართველოში, სადაც მათ მრავალი საათის განმავლობაში ამყოფებენ კარცერში სისლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად.

ორი სხვა რეპატრიატი — ლეონოლდ ბრუნო, რომელიც ხელისუფალთა განკარგულებით საშუალოდან დაითხოვეს, და მისი ცოლი ესთერი პოლიციაში უნდა ვამოცხადდნენ ყოველ კვირაში. „ლუმანიტე" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფრანკისტული პოლიცია აპირებს ეს ამუჩად აგდება შემდეგშიც განაგრძოს. „სანდო ცნობების თანახმად, — იწყება „ლუმანიტე", — ფრანკისტი ხელისუფალნი აპირებენ ეს ოთხი ადამიანი ესპანეთიდან განდევნონ „მკუის სწავლების მიზნით".

ტელეგრაფი გვაცნობებინებს

◆ გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ მიიღო კონაკრიში მყოფი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ყუკოვი. საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განხილულ იქნა საბჭოთა კავშირისა და გვინეის კულტურული ურთიერთობის დარგში მიღწეული შედეგები და 1961 წელს ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

◆ სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული ერაყის რესპუბლიკაში ა. ს. სემიონოვი ეწვია ერაყის განათლების მინისტრს ისმაილ არიფს იმასთან დაკავშირებით, რომ ერაყის ტექნიკურ სკოლებს ერაყის მთავრობისათვის სსრ კავშირის მთავრობის საჩუქრის სახით გადაეცათ საბჭოთა მოწყობილობის კომპლექტი.

◆ ქალაქ შაადარაში, რომელიც დელიდან რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობს, შეიქმნა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ფილიალი.

◆ როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში წარმოებულია 50 პროცენტით მეტი ეთეროვანი ზეთი, ვიდრე 1959 წლის შესაბამის პერიოდში.

◆ დამასკოში, VII საერთაშორისო ბაზრობის საზაფხულო თეატრში გაიმართა პირველი კონცერტი საბჭოთა მხახიობებისა, რომლებიც იქ ჩავიდნენ ბაზრობის დირექციის მეწვევნი.

◆ ინდონეზია-იაპონიის მეგობრობის საზოგადოებამ დაამო ტოკიოს ის გადაწყვეტილება, რომ იაპონიაში შეუშვან ჰოლანდიის სამხედრო ხომალდები, რომლებიც დასავლეთ ირიანში მიემართებიან კოლონიზატორთა სამხედრო ძალების განსამტკიცებლად.

◆ კორეის სამხედრო სანაპიროს თავს დაატყდა ძლიერი ტაიფური. პუსანში წყალში ჩაიძირა და დაინგრა 300-ზე მეტი სახლი, 1.700 კაცი უსახლკაროდ დარჩა. პუსანში, ნამვონსა და სხვა ადგილებში დაწყდა ელექტროგადაცემის ხაზები, ბევრ რაიონში შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა. (საკდესი).

სამხედრო განგაში ამერიკის ბაზებზე ინგლისში

ლონდონი, 24 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ა. **მელიქიანი** გადმოგვცემს: სამხედრო ტრიბუნალი ამერიკის სკალტორპის (ნორფოლკის საგრაფო) ამერიკის ავიაბაზაში გუშინ ის იყო შეიკრიბა, რათა შედგომოდა ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის შუმახერის ჯვარედინ დაკითხვას, რომელსაც ბრალად ედება 100 პისტოლეტისა და ოთხი ტყვიამფრქვევის მოპარვა, რომ უეცრად გულისშემზარავად აგრიალდნენ სპეერო განგაშის სირენები, ხოლო ხმამაღლა მოლაპარაკეებმა ბაზის პერსონალს გადასცეს ბრძანება დაეკავებინა თავისი ადგილი, სასამართლოს სხდომა შეწყდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ავიაბაზიდან გამაყრუებელი ღრიალით იწყეს გაფრენა ამერიკის ბომბდამშენებმა ატომური ბომბებით, ბაზის მცველები გაძლიერებულ იქნენ, ხოლო ყველა სამოქალაქო პირს, რომლებიც სასამართლოს ესწრებოდნენ, წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ბაზის ტერიტორია. ცხრა საათის-სპეერო განგაშა გამოცხადდა ამერიკის ყველა ბაზაზე ინგლისში, რამდენიმე საათის განმავლობაში ინგლისს თავს დასტრიალებდნენ ამერიკის თვითმფრინავები, რომლებიც დატვირთული იყვნენ მომაკვდინებელი იარაღით.

ასეთი განგაშები, როგორც ცნობილია, წარმოადგენენ ნატოში მოკავშირეთა „გამხნევებისათვის" პენტაგონის ღონისძიებათა შემადგენელ ნაწილს. ეს „ღონისძიებანი" იწვევენ ინგლისელების დიდი აღშფოთებას გრძნობას.

„ამერიკელებო, წადითრეთ სახლში" — მოითხოვენ ლათინური ამერიკის ხალხები.

ახალი კუბის განსამტკიცებლად

ჰავანა, 24 აგვისტო. (საკდესი). 22 აგვისტოს ჰავანაში მუშაობა დაამთავრა კუბის სახალხო სოციალისტური პარტიის VIII ყრილობამ. ყრილობის საბოლოო სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა.

ყრილობამ ჩაიარა ურღვევი დარაზმულობისა და ერთობის ვითარებაში, რევოლუციური ლოზუნგებით, რომლებიც მოუწოდებენ დაიცვან, განამტკიცონ და განავითარონ კუბის რევოლუცია.

ყრილობის დელეგატებმა ერთხმად მიიღეს საერთო რეზოლუცია, რომლითაც მოწონებულია პარტიის საქმიანობა და დასახულია მისი შემდგომი მუშაობის ამოცანები. ყრილობამ პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს და კუბის რევოლუციის სხვა ხელმძღვანელებს გაუგზავნა მისალმებანი, მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მადლობა გადაუხადა მათი მისალმებისათვის ყრილობისადმი, ხალხთან და კუბის გმირულ რევოლუციასთან სოლიდარობისათვის. ყრილობის მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს პარტიის გენერალური მდივნის ბლას როკას მოხსენება, პარტიის ეროვნული კომიტეტის მოხსენება ახალი პროგრამის პროექტისა და პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ.

თავდასხმები ინდოეთის ტერიტორიაზე

დელი, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთ „სტეიტსმენის" კორესპონდენტი სრინაგარიდან იუწყება, ჯამუსა და ქაშმირის შტატის საკანონმდებლო საბჭოში გუშინ გამოაცხადეს, რომ 1959 წელს და 1960 წლის შვიდი თვის განმავლობაში ჯამუსა და ქაშმირის ტერიტორიაზე პაკისტანის მხრივ განხორციელდა 144 თავდასხმა. ამ თავდასხმების შედეგად მოკლულ იქნა 18 მცხოვრები. გარდა ამისა, შტატში ამავე პერიოდში აფეთქებულ იქნა 100-ზე მეტი ბომბი, რამაც გამოიწვია ცხრა კაცის დაღუპვა.

შტატის მთავრობის აზრით, ყველა აფეთქება განახორციელეს იმ პირებმა, რომლებიც პაკისტანთან არიან დაკავშირებული.



„კომუნისტური საფრთხის" საფარველით

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, დღეს ნიუ-იორკის შტატის ყოფილი გუბერნატორი ჰარიმანი აფრიკაში მიგზავნილია. პრეს-კონფერენციაზე ჰარიმანმა განაცხადა, რომ განზრახვა აქვს ეწვიოს დაკარს, სადაც რეაქციონერებმა ახლახან მოახდინეს გადატრიალება მალის ფედერაციის ლიკვიდაციის მიზნით, შემდეგ იგი აპირებს ეწვიოს ტრიბუნაზე და წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნა, რომ მთელი ავღანელი ხალხის მოგალეობაა — შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა, რომელიც სასტიკი ბრძოლებით მოიპოვა.

მეფის სიტყვის დამთავრების შემდეგ დაიწყო ჯარების პარადი, საღამოს გაიმართა სახალხო სეირნობა. ქაბულის თეატრ „ქაბულ ნანდარეში" საბჭოთა, ჩინელ და ინდოელ მსახიობთა გაერთიანებული ძალებით გაიმართა კონცერტი. „გაზის" სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ავღანეთის კლუბ „არიანისა" და „ტორპედოს" (ქუთაისი) ფეხბურთელთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ქართველმა სპორტსმენებმა ანგარიშით 6 : 4.

ინდონეზიისა და იაპონიის ურთიერთობის გამო

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო. (საკდესი). ჯაკარტიდან მიღებული ცნობებით, დღეს ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ იაპონიის მთავრობას მოსთხოვა გაუქმოს ნებართვა, რომ ჰოლანდიის ავიამზიდმა „კარელ დორომანმა" ღუზა ჩაუშვას იოკოჰამის ნავსადგურში. პრეზიდენტმა გაფრთხილა იაპონიის ელჩი, რომ თუ ტოკიომ არ გაუქმა ნებართვა, ამან შეიძლება მეტად სერიოზული რეაქცია გამოიწვიოს ინდონეზიის მხრივ.

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო. (საკდესი), როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტო ტოკიოდან იუწყება, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იაპონიას არ შეუცვლია თავისი გადაწყვეტილება იოკოჰამაში ჰოლანდიის ავიამზიდის მ-12 ოქტომბერს ჩამოსვლის შესახებ. მან უარი თქვა კომენტარი გაეკეთებინა ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოს ღიღეანდელი განცხადებისათვის ამ საკითხზე.

მოლაპარაკება ლაოსში

ლონდონი, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტო ვიენტიანიდან იუწყება, ლაოსის ახალი მთავრობის მეთაური პრინცი სუვანაფუმა დღეს სამხრეთ აღმოსავლეთში, სავანაკეტში გაფრინდა, რათა იქ შეხვდეს თავდაცვის ყოფილ მინისტრს გენერალ ფუმი ნოსავანს და დაიყოლიოს უკანასკნელი, რათა უარი თქვას საომარ ოპერაციებზე.

პარიზი, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საააგენტო იუწყება, იმ სახელმწიფო გადატრიალების ხელმძღვანელმა, რომელმაც ლაოსის წინანდელი მთავრობის დაცემა გამოიწვია, კაპიტანმა კონგ ლემ განაცხადა, რომ გენერალი ნოსავანი თავს უყრის ძალებს, რათა თავს დაესხას ვიენტიანს ტაილანდიდან.

ლონდონი, 23 აგვისტო. (საკდესი). ლაოსიდან მოსული ცნობებით, კონტრრევოლუციურმა რაზმმა, რომელშიც 500 ჯარისკაცი შედის, დაიკავა სანაკარმ-პორტი მდინარე მეკონგზე (ეს და მეტ კილომეტრზე ლაოსის დედაქალაქიდან). ეს მოხდა იმ დროს, სანამ პრემიერ-მინისტრი სუვანა ფუმა მოლაპარაკებას ეწეოდა აჯანყებულ გენერალ ნოსავანთან. უკანასკნელმა თითქოს აღუთქვა არავითარი სამხედრო მოქმედება არ დაიწყოს ახალი მთავრობის წინააღმდეგ.

ავღანეთის დამოუკიდებლობის 42-ე წლისთავი

ქაბული, 24 აგვისტო. (საკდესი). ქაბულის რადიომ გადასცა ტექსტი ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰის წერილისა ავღანეთის ხალხისადმი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის 42-ე წლისთავის დღესასწაულის გამო. წერილში ნათქვამია, რომ ავღანელი ხალხი მთელი საუკუნის განმავლობაში სისხლისმღვრელ ბრძოლას აწარმოებდა კოლონიალიზმის ძალების წინააღმდეგ, და ეს ბრძოლა მხოლოდ 42 წლის წინათ დაგვირგვინდა წარმატებით. მაშინ ხალხის ალიანეა ავღანელი ხალხის უკანასკნელი დარტყმა იყო კოლონიალიზმის მიმართ. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა ავღანეთს შესაძლებლობა მეშეშენინა წარსულში მიყენებული ჭრილობები.

ავღანეთის კეთილდღეობა, განაცხადა მეფემ, დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს მშვიდობასა და უშიშროებაზე. სწორედ ამიტომ ავღანეთი ახორციელებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, მშვიდობისმოყვარეობის პოლიტიკას, სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას. ავღანეთის მთავრობა ახორციელებს ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ხელს უწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

მეფემ სიხარულის გრძნობა გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ აზიისა და აფრიკის ბევრმა ხალხმა ზედიზედ მოიპოვა თავისუფლება. ჩვენ, თქვა მეფემ, ამავე დროს თანაგრძნობას ვუცხადებთ იმ ხალხებს, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას თავიანთი განთავისუფლებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კოლონიალიზმი კრახს განიცდის, ჩვენი ძმები პუშტები ჯერ კიდევ განაგრძობენ მედგარ ბრძოლას განთავისუფლებისათვის. ავღანელი ხალხი, თქვა დასასრულ მეფემ, გულგრილად ვერ მოეკიდება თავისი ძმების — პუშტების ბედს.

რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი შეეხო ამოცანებს, რომლებიც დასახულია ამ ქვეყნის წინაშე. მან აღნიშნა, რომ ავღანეთი დიდი ცვლილებების მოლოდინშია. მაგრამ ეროვნული მიზნების მიღწევის გზაზე არის სიძნელეები. დაუდმა იმედი გამოთქვა, რომ ეკონომიური განვითარების ხუთწლიანი გეგმა წარმატებით იქნება შესრულებული.

პრემიერ-მინისტრმა ავღანეთის მთავრობისა და ხალხის დიდი მადლობა გამოთქვა მეტად სასარგებლო დახმარებისათვის, რომელიც ავღანეთს გაუწიეს მისმა მეგობრებმა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირმა, ეკონომიური და ტექნიკური განვითარების საქმეში. მთავრობ

იტალიური შთაბეჭდილებანი

ძველია საგაზეთო წერილში მოათავსო შენი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. ეს ისევე ძველია, როგორც 12 დღეში ორჯერ გადასერო ევროპა და ნახო თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი თუ ძეგლი ერთ მთლიან მუზეუმად ქცეული იტალიისა. მაგრამ ჩვენს დროში სივრცე და მანძილი თითქოს კარგავენ თავის მნიშვნელობას და დედამიწის უზარმაზარი ზედაპირი არც თუ ისე დიდადღა გვეჩვენება მეოცე საუკუნეში მცხოვრებთ.

გონების თვალითაც კი თითქმის წარმოუდგენელია — დღის თორმეტას ნახევარზე მოსწყდე მოსკოვის მიწას და „ტუ-104“-ის მძლავრი გუგუნით ცაში ატყორცნილი ოთხიოდე საათის შემდეგ პარაზში, „ბურჟეს“ აეროდრომზე დაეშვა. აქ კომფორტაბელური ავტობუსით გეზი აიღო პარიზის მეორე აეროდრომის „ორლისაენ“, გადასერა უზარმაზარი ქალაქი, თვალი შეაყარა პარიზის გარეუბნებს, ყყვავიბული იასამნისა და წაბლის ხეებით მორთულ სენის სანაპიროებს, გადასერო აუსტერლიცის ხიდი, წუთით მზერა შეიპერო ნოტრდამსა, ბასტილიასა და ეიფელის კოშკზე და ლენუარის ბულვარითა და იტალიის თართო პროსპექტით ჯლავ დაამშვიდობო ამ ძველ ბობოქარსა და მუდამ მჩქეფარე ქალაქს.

მაგრამ ეს იმ დღის მოგზაურობის დასასრული ნუ გგონიათ. ფრანგული ავიაკომპანიის თვითმფრინავი „კარაველა“ მზის დახრისას გეზს რომისაკენ იღებს, და საღამოს 9 საათზე საშუალოევროპული დროით ჩვენ უკვე იტალიის მშვენიერი დედაქალაქის ერთ-ერთი კომფორტაბელური სასტუმროს „ოტელ ტრიკანოს“ ჰოლში ვსხედვართ და ვახშმის მოლოდინში ღამის რეკლამებით აბრჭყვიალებულ ქუჩას გავყურებთ...

ასეთივე თავბრუდამხვევი და სწრაფია ჩვენი მოგზაურობა იტალიაში. ჩვენს ტურისტულ ჯგუფს მომგებული მაგალადგელიანი და კეთილმოწყობილი „ფიატის“ ფირმის ავტობუსი და მისი მბარაკული მძღოლი, ჩვენი უკვე გულოვად მიგმბარი მარიო მიგვაჭოლებენ რომიდან ნეაპოლში, ნეაპოლიდან პომპეასა და სორენტოში. სორენტოდან ზღვით კაპრიზე და კვლავ მარიოს ავტობუსით ისევ რომი. მერე ფლორენცია, ვენეცია და მილანი.

დაახლოებით თორმეტი დღე დავყავით თვით იტალიაში და ყველგან თვალწინ გვხვდებოდა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი კონტრასტები, სადაც სიმდიდრე ასეთი ხაზგასმით ეპაექრება სიღარიბეს და აუტანელ გაჭირვებას. საკმარისია ნეაპოლის ცნობილ, მარმარილოთი ნაგებ, ზღაპრულად წარმტაც თანამედროვე ვილებს გვერდში ამოუყენო ნეაპოლის გარეუბნებშივე აშენებული უმეშვეარეთა ხუხულების მთელი კვარტალები, რომ შენს თვალწინ მკაფიოდ გამოჩნდეს კაპიტალისტური სამყაროს სოციალურ წინააღმდეგობათა აღუსებელი უფსკრული; შეუძლებელია ამ ორი იტალიის შერიგება, წარმოუდგენელია ნიმფების, შადრევნებისა და პალმების ჩრდილში მონუგეშე სენორიტა ვაუგოს ფანერისა და მუყაოს ნაგლეჯებით სახელდახელოდ აგებულ ფარდალალა ქოხში მცხოვრებ უმუშევარ ან ნახევრადუმუშევარ მშრომელს, რომელსაც ყოველ დილით მშიერი ბავშვების ტირილი და ლუკმაპატრის თხოვნა აღვიძებს.

მაგრამ არის იტალია, რომელიც განუმეორებელია კაცობრობისათვის და შეუდარებელია თავისი რომანტიკით. ეს არის ახლადგაღვიძებული კაცობრობის პირველი სუნთქვა საშუალო საუკუნეების საღამოს ძილის შემდეგ. ეს არის იტალია რენესანსისა. არსაო, არასოდეს არ ამეტყველებულა ისე მკვეთრად და ისეთი სიუხვით ფერწერა, ქანდაკება და ხეროთმოძღვრება, როგორც მე-15 და მე-16 საუკუნეთა იტალიაში. აქ გენიას გენიას სცვლის და შედევრი შედევრს ეპაექრება. ღვთაებრივი ადამიანური ხიბლი და ადამიანი ღმერთს ეტოლება. წმიდა მადონა გლეხ ქალის სახით გამოვლინება და ჯვარცმული ქრისტე — ინკვიზიციისაგან ნაწამებ ადამიანის ტანჯულ სინდისად.

მხოლოო აღორძინების პერიოდის იტალიელმა ოსტატებმა ი